საბანკო სექტორი – ივნისი, 2015

ეკონომიკური მიმოხილვა და ინდიკატორები

Delivering the Progress

გამოცემა #52 / 14.08.2015

2015 წლის ივნისის მდგომარეობით, 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით:

• გაზრდილია როგორც დეპოზიტების (24.8%; 2 719.5 მლნ. ლარი), ასევე ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების მოცულობა (32.6%; 3 664.7 მლნ.ლარი), თუმცა გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინებით დეპოზიტების მოცულობა გაიზარდა - 7.3 %, ხოლო ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების მოცულობა 14.7 %-ით.

• გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინებით, -1.0 % პუნქტით შემცირდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების, ხოლო -2.4 % პუნქტით - უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების წილი.

2015 წლის იანვარი-ივნისის პერიოდში, კომერციული ბანკების წმინდა მოგება 26.3 %-ით არის გაზრდილი და შეადგენს 243 მლნ. ლარს.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2015 წლის ივნისის მდგომარეობით მთლიანი დეპოზიტების ჯამური მაჩვენებელი, ბანკთაშორისი დეპოზიტების გარეშე, 13 698.3 მლნ.ლარია, რაც 24.8 %-ით აღემატება 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ეროვნული ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების მოცულობა გაზრდილია 10.1 %-ით. უცხოური ვალუტით დემონირებული დეპოზიტები აშშ დოლარში გაზრდილია 5.6 %-ით, ხოლო ლარში - 34.1 %-ით, აღნიშნული განსხვავება ვალუტის კურსის ცვლილებით არის განპირობებული.

2015 წლის ივნისში, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე 4.5 %-ია, რაც ჩამოუვარდება (-0.8 % პუნქტი) 2014 წლის ივნისის მაჩვენებელს. ამავე პერიოდში, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე შემცირებულია (-0.8 % პუნქტი) და 7.7 %-ს შეადგენს, თუმცა მონეტარული პოლიტიკის გამკაცრებასთან ერთად მოსალოდნელია ეროვნული ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდა.

2015 წლის ივნისის მდგომარეობით, კომერციული ბანკების მიერ გაცემულმა სესხებმა, ბანკთაშორისი სესხების გარეშე, 14 884.8 მლნ.ლარი შეადგინა, რაც 32.6 %-ით აღემატება 2014 წლის ივნისის მაჩვენებელს. ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების მოცულობა გაზრდილია 21.5 %-ით. უცხოური ვალუტით გაცემული სესხები აშშ დოლარში გაზრდილია 10.2 %-ით, ხოლო ლარში - 40 %-ით, აღნიშნული განსხვავება ვალუტის კურსის ცვლილებით არის განპირობებული.

2015 წლის ივნისში, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი უცხოური ვალუტით გაცემულ სესხებზე 11.5 %-ია, რაც ემთხვევა 2014 წლის ივნისი მაჩვენებელს. ამავე პერიოდში, საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთი ეროვნული ვალუტით გაცემულ სესხებზე შემცირებულია (-0.8 % პუნქტი) და 18.4 %-ს შეადგენს.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2015 წლის ივნისის მდგომარეობით, ეკონომიკის დარგებზე გაცემულ სესხებში ყველაზე დიდი წილი უჭირავს ვაჭრობას (31.1%), მრეწველობას (22.3%) და ფინანსურ შუამავლობას (7.3%).

აღნიშნულ პერიოდში, ვაჭრობაზე გაცემული სესხების მოცულობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (30.5%; 530.5 მლნ. ლარი) 2014 წლის ივნისთან შედარებით.

გაზრდილია, აგრეთვე სესხების მოცულობა მრეწველობისა (27.4%; 350.6 მლნ.ლარი) და ფინანსური შუამავლობის (77.4%; 233.4 მლნ.ლარი) დარგებში.

2015 წლის ივნისის მდგომარეობით, შინამეურნეობებზე გაცემულ სესხებში ყველაზე დიდი წილი სამომხმარებლო (34.2%) და უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს (50.4%) აქვთ.

სამომხმარებლო სესხების 81.2% ეროვნული ვალუტით, ხოლო 18.8% უცხოური ვალუტით არის გაცემული. განსხვავებული სტრუქტურა აქვს უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებს, რომელის 76.6% უცხოურ ვალუტაში, ხოლო 23.4% ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხებია.

2015 წლის ივნისის მდგომარეობით, სამომხმარებლო სესხების მოცულობა გაზრდილია 21.2%-ით, თუმცა ვალუტის კურსის ეფექტის გათვალისწინებით ზრდამ 16.4% შეადგინა.

ამავე პერიოდში, 47.1%-ით გაიზარდა უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხები, ხოლო ვალუტის კურსის ეფექტის გათვალისწინებით ზრდა 23.1%-ს უტოლდება.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2015 წლის იანვარ-ივნისში კომერციული ბანკების შემოსავლები მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (51.0%; 616.5 მლნ.ლარი) 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. გაზრდილია როგორც პროცენტული (25.2%; 210.7 მლნ.ლარი), ასევე არაპროცენტული (109.5%; 405.8 მლნ.ლარი) შემოსავლები.

აღნიშნულ პერიოდში, პროცენტულ შემოსავლებში ყველაზე მეტად გაზრდილია შემოსავლები ფიზიკური (22.9%; 104.1 მლნ.ლარი) და იურიდიული პირის (26.1%; 80.8 მლნ.ლარი) სესხებიდან.

არაპროცენტულ შემოსავლებში ყველაზე მეტად გაზრდილია შემოსავლები ფასიანი ქაღალდების დილინგიდან (3.1-ჯერ; 7.7 მლნ.ლარი) და სხვა არაპროცენტული შემოსავლებიდან (3.3-ჯერ; 418.5 მლნ.ლარი), რომელიც მოიცავს მიღებულ დივიდენდებს, სავალუტო სახსრების გადაფასებიდან მიღებულ მოგებას/ზარალს, ქონების გაყიდვიდან მიღებულ მოგებას/ზარალს და სხვა საბანკო ოპერაციებიდან მიღებულ არასაპროცენტო შემოსავლებს.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ აღნიშნულ პერიოდში საკონვერსიო ოპერაციებიდან მიღებულმა წმინდა მოგებამ 44.9 მლნ.ლარი შეადგინა, თუმცა აღნიშნული მაჩვენებელი ჩამოუვარდება (-20.8%; -11.8 მლნ.ლარი) 2014 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

კომერციული ბანკების საკრედიტო პორტფელის ხარისხის განსაზღვრისათვის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია უმოქმედო და ვადაგადაცილებული სესხების წილი მთლიან სესხებში.

2015 წლის ივნისის მდგომარეობით, უმოქმედო სესხების მოცულობა მნიშვნელოვნადაა გაზრდილი (50.6%; 415.7 მლნ. ლარი) 2014 წლის ივნისთან შედარებით და 1 237.4 მლნ. ლარს შეადგენს. აგრეთვე გაზრდილია უმოქმედო სესხების წილი მთლიან სესხებში (1% პუნქტი) და 8.3%-ს შეადგენს. აღნიშნულ ზრდაში მნიშვნელოვანი წილი აქვს გაცვლითი კურსის ეფექტს. ამ პერიოდში, სპეციალური რეზერვები უმოქმედო სესხების 44.0%-ს ფარავს.

2015 წლის ივნისის მდგომარეობით, მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ვადაგადაცილებული სესხების მოცულობაც (29.8%; 73.6 მლნ.ლარი), თუმცა აღნიშნული მაჩვენებლის წილი მთლიან სეხებში არ შეცვლილა და 2.2%-ს შეადგენს.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ძირითადი ეკონომიკური ინდიკატორები	2012	2013	I 2014*	II 2014*	III 2014*	IV 2014*	2014*	I 2015*
ნომინალური მშპ (მლნ. დოლარი)	15846.8	16139.9	3605.3	4064.1	4320.4	4527.8	16528.5	3298.9
მშპ ერთ სულ მოსახლეზე (დოლარი)	3523.4	3599.6	802.9	905.0	962.1	1 008,3	3680.8	884.5
მშპ-ს რეალური ზრდა	6.4%	3.3%	7.2%	5.2%	5.6%	1.8%	4.8%	3.2%
სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური)	99.1	99.5					103.1	
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები (მლნ. დოლარი)	911.6	941.9	265.3*	150.5*	507.5*	349.2*	1 272.5*	175.3
უმუშევრობის დონე	15%	14.6%					12.4%	
საგარეო ვალი (მლნ.დოლარი)	4739	4202		4082				
სიღარიბის დონე (რეგისტრირებული)	9.7%	9.7%					11.6%	

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო
საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საპროგნოზო*